სახელმწიფოშესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №216

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 07 დეკემბერი 2016წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი გოგიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"(შემდგომში ,,მიმწოდებელი")წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ ხალვაშის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის, 5.12.2016 წლის N 23177 ფორმა N IV -100/ ა-სა და ინვოისი N4826-ის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს დროებით ღამის თავშესაფარის ბენეფიციარის ევგენი ბელაბარტონიკის (უცხო ქვეყნის მოქალაქე) საავადმყოფოს მომსახურების შესყიდვა, კერძოდ დიაგნოზის დასახელებაა - კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი (ათეროსკლეროზული განგრენა), ბარძაყის ძვლის ამპუტაცია. დანართი N1-ის საფუძველზე.
1.2.კლასიფიკატორის კოდი: 85100000; 85111000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1 515,46 (ათას ხუთას თხუთმეტი და 46) ლარს.
2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (დროებითი ღამის თავშესაფრის ქვეპროგრამა) მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ–ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურებისმიღება-ჩაბარების წესი

4.1.მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.
4.2. გაწეული მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.3. შემსყიდველის მხრიდან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს სასადილოების მენეჯერი - გიგა ბეჟანიძე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. N2
5.2.მომსახურება განხორციელდა 2016 წლის 28 ნოემბრიდან 2016 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

(ხელმოწერა) (ხელმოწერა)

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია: გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად;

7. ხელშეკრულებისშესრულებისკონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებსა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს სასადილოების მენეჯერი - გიგა ბეჟანიძე.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.
8.2.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაშიცვლილებებისშეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.4.შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც მიმწოდებელი ვერ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ანმისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაოსაკითხებისგადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულებისენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.

14. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ფაქტიური მისამართი: ქ.ბათუმი, ლერმონტოვის ქ.№90ა
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25
ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“
სახაზინო კოდი№740807519
საიდენტიფიკაციო კოდი: 445437705
ბანკის კოდი: TRESGE22

დირექტორი
ბადრი გოგიძე

„მიმწოდებელი“

ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. N 2
ტელ: 599 49 05 05

შპს „რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
ანგარიშის NGE60BR0000010814236399
საიდენტიპიკაციო კოდი: 245 428 880
მიმღები ბანკი : ს.ს.„ბანკი რესპუბლიკა“
ბანკის კოდი: REPLGE22

დირექტორი
მალხაზ ხალვაში

23177 5.XII.2016.

სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV - 100/ა

ცნობა

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

1. ცნობის გამცემი დაწესებულების დასახელება და ექიმი სპეციალისტის გვარი, სახელი, სახელმწიფო სერტიფიკატით მინიჭებული სპეციალობა, სახელმწიფო სერტიფიკატის ნომერი ან/და საკონტაქტო ინფორმაცია:

შ.პ.ს ქბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო. მკურნალი ექიმი -ჩხაიძე მერაბ. სპეციალობა: სამკურნალო საქმე; ზოგადი ქირურგია. სერტიფიკატ(ებ)ი: Id25#012548. საკონტაქტო ინფორმაცია: 577302991.

2. დაწესებულების დასახელება და მისამართი. სადაც იგზავნება ცნობა:

საჭიროებისამებრ წარსადგენად

3. პაციენტის სახელი და გვარი: *ევგენი ბელაბაროსკინ*

4. დაბადების თარიღი: *27-10-1953*

5. პირადი ნომერი:

6. მისამართი: *მიუსაფარი*

7. სამუშაო ადგილი, თანამდებობა, (მოსწავლის/სტუდენტის შემთხვევაში - სასწავლო დაწესებულების/სკოლის დასახელება/კურსი სადაც იგი სწავლობს:

8. თარიღები:

ა) ექიმთან მიმართვის:

ბ) სტაციონარში გაგზავნის:

გ) სტაციონარში მოთავსების: *28-11-2016 17:45*

დ) გაწერის: *05-12-2016 16:00*

9. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი (ძირითადი დაავადება, თანმხლები დაავადებები, გართულებები):

დასკვნითი დიაგნოზი: I70.2 კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი || I70.2 კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი

10. გადატანილი დაავადებები:

ბავშთა ინფექციები.მარცხენა ქვედა კიდურის ამპუტაცია ბარძაყის დონეზე

11. მოკლე ანამნეზი:

პაციენტი დაახლოებით 2 თვეა აღნიშნავს ძლიერ ტკივილს მარჯვენა ქვედა კიდურის არეში,კიდურის გაციებას,რასაც დაერთო ტერფისა და თითების ციანოზი რის გამოც მომართა კლინიკას.

12. ჩატარებული დიაგნისტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები:

სხვა კლინიკური კონსულტაცია (შიდა კონსულტაცია),გულმკერდის ღრუს ორგანოების რენტგენოლოგიური გამოკვლევა (1 პროექცია),ელექტროკარდიოგრაფია 12 სტანდარტულ განხრაში(ეკგ),ვირუსების იმუნოსეროლოგიური გამოკვლევები(C ჰეპატიტი),კოაგულოგრამა,კრეატინინის განსაზღვრა სისხლის შრატში,სისხლის საერთო ანალიზი,1)ABO სისტემის განსაზღვრა (A1,A2,A3,B) 2)რეზუს ფაქტორის განსაზღვრა, შაქრის(გლუკოზის) განსაზღვრა სისხლში (ექსპრეს მეთოდი),

ჰემ-104.ლეიკ-11,2.ჩხ-4%.ედს-30.ჰეპC-neg.კრეატ-72,9გლუკ-139.k-3.6.Na-139.4.Ca-1.53

13. ავადმყოფობის მიმდინარეობა:

მწვავე.

14. ჩატარებული მკურნალობა:

NFSQ19: ბარძაყის ძვლის ამპუტაცია.
შესაბამისი დიაგნოსტიკა და მედიკამენტოზური მკურნალობა:
ამპიბაქტი 1,5გ N 1, წყალი საინექციო 2მლ. # 10ა, მეტრალინი 0,5% 100მლ, რინგერი 500მლ., ნატრიუმის ქლორიდი 0,9% 500მლ, ანალგინი 50 %-2მლ #10 ამპ., დიმედროლი 1% 1მლ #10ა, კეტოროლაკი 30 მგ/მლ 1 მლ N10 ამპ, ფრაქსიპარინი (ჰეპარინი) 0.4მლ. #1, კაპტოპრილი (კაპტ) 25მგ #50ტ, ლიდოკაინი 2% 2მლ # 10 ,

15. მდგომარეობა სტაციონარში გაგზავნისას:

საშუალო სიმძიმის

16. მდგომარეობა სტაციონარიდან გაწერისას:

კლინიკურად გაუმჯობესებული

საქართველო
შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური
კლინიკური საავადმყოფო

GEORGIA
BATUMI REPUBLICAN
CLINICAL HOSPITAL LTD

სამედიცინო შემთხვევის ერთეულის კალკულაცია ფაქტიური დანახარჯებით

პაციენტი: ბელაბაროსკინ ევგენი პ/ნ 2016 წლის 6 დეკემბერი

დიაგნოზი: **კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი**

ICD კოდი: I70.2

NCSP ჩარევის კოდ(ებ)ი: NFSQ19

საწოლდღე: 7.0

I. პირდაპირი ხარჯები

მედიკამენტები და ერთჯერადი მოხმარების საგნები	324,68
სადიაგნოზო ღონისძიებები	105,00
სამედიცინო პერსონალის ძირითადი ხელფასი სულ	549,78

II. არაპირდაპირი ხარჯები

არაპირდაპირი ხარჯები სულ	410,87
სულ დანახარჯები	1390,33
დასაბეგრი მოგება	125,13
სულ სამედიცინო მომსახურების ღირებულება	**1515,46**

შენიშვნა, დამატებითი ინფორმაცია:

*

დირექტორის მოადგილე ლაშა მიქელაძე

შემსრულებელი ~~ინა ჯიმშერაძე~~

პაციენტი _____ 2016 წლის 6 დეკემბერი

შპს "ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"

(ინვოისი) N-4826

გაწეულ მომსახურებაზე (შესრულებულ სამუშაოზე)

06 დეკემბერი 2016 წელი

გამყიდველი	2 4 5 4 2 8 8 8 0	მყიდველი	
დასახელება	შპს "ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"	დასახელება	
მისამართი	ტბელ აბუსერიძის #2	მისამართი	
ტელეფონი	0422 276807	ტელეფონი	
საბანკო	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	საბანკო	
ბანკის კოდი	UGEBGE22	ბანკის კოდი	
ა/ნომერი	GE53VT5500000000183408	რეკვიზიტები	

N	დასახელება	თანხა
1	ბელაბაროსკინ ევგენი პ/ნ, მკურნალობის თანხა კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი	1515,46
	სულ ასანაზღაურებელი თანხა	1515,46

სულ ასანაზღაურებელი თანხა: ათას ხუთასთხუთმეტი ლარი, 46 თეთრი

პირველი პირი: _____ მეორე პირი: _____